საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

18.01.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინე ქვრივიშვილი - შპს - კანდიდის დირექტორი;
2. თამარ ნიშნიანიძე - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,კოლხა-11-ის'' დირრექტორი;
3. მაია მიქაძე - შპს - ოქროს აკვანის - დირექტორი;
4. ზვიად არძენაძე- შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის იურისტი;

5. მარინა მჭედლიშვილი - შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის დირექტორი;
6. ვალერიანე ბეჭვაია - შპს - საბას დირექტორი;
7. ორესტ პესჩარენკო - შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის დირექტორი;
8. თეა შანიძე - შპს - სკოლა-ნიკეს წარმომადგენელი;
9. ინგა კვანტალიანი - შპს - კვანტის დირექტორი;
10. მანანა ცეცხლაძე - შპს - ელიტ სქულის დირექტორი;
11. მანანა მართალაშვილი - შპს - ელიტ სქულის წარმომადგენელი;
12. მერაბ ჭოხონელიძე - შპს - №1 სკოლის დამფუძნებელი;
13. ქეთევან სეხნიაშვილი - შპს - ლამპარის დამფუძნებელი;
14. თამარ მანძურაშვილი - შპს - ლამპარის დირექტორი;
15. ვარო კვარაცხელია - შპს - არასახელმწიფო მრავალპროფილიანი საერო საშუალო სკოლა ქიაჩის დირექტორი;
16. ნატალია შანავა - შპს - არასახელმწიფო მრავალპროფილიანი საერო საშუალო სკოლა ქიაჩის წარმომადგენელი;

ავტორიზაციის ექსპერტები:

ნოდარ ანგურიძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლეილა გველესიანი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნინო ბალანჩივაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
ქეთევან ბოტკოველი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ლიანა კობესაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნელი ნასყიდაშვილი - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაკა ტუკვაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;
მაია ხურცილავა - ავტორიზაციის ექსპერტი;
ნონა ზუმბაძე - ავტორიზაციის ექსპერტი;

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:48 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს - კანდიდის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
2. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,კოლხა-11-ის'' ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - ოქროს აკვანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - საბას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - კვანტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - ელიტ სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - არასახელმწიფო მრავალპროფილიანი საერო საშუალო სკოლა ქიაჩის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს და სსიპ - განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ, აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს - ლამპარის წერილობითი შუამდგომლობა შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით. წერილში აღნიშნული იყო, რომ შპს - ლამპარსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკება იმ შენობის ყიდვასთან დაკავშირებით, რომელშიც სკოლა იყო განთავსებული, აღნიშნული მოლაპარაკების გაჭიანურების გამო სკოლა ითხოვდა საკითხის გადადებას ავტორიზაციის წარმოებისათვის დადგენილი ვადის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, რაიმე დამატება ხომ არ სურდა წერილობით შუამდგომლობასთან დაკავშირებით.

სკოლის დამფუძნებელმა, ქეთევან სეხნიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლის დირექტორი ამჟამად იმყოფებოდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში საკითხის გადასაწყვეტად.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ქეთევან სეხნიაშვილს წარმოეგინა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რაც ვერ იქნა წარმოდგენილი.

თავმჯდომარემ განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქეთევან სეხნიაშვილს არ ჰქონდა საბჭოს წინაშე დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, საბჭო მაინც განიხილავდა შუამდგომლობას, რადგანაც შუამდგომლობა

წერილობითი ფორმით იყო შემოსული ცენტრში. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მაძიებლად დაწესებულების დარეგისტრირება არის დაინტერესებული პირის ნებელობაზე დამოკიდებული, ავტორიზაციის მისაღებად საჭიროა ავტორიზაციის სტანდარტების დაკმაყოფილება, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფლობა. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ფართს უნდა ფლობდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც ავტორიზაციის ერთ-ერთ სტანდარტს წარმოადგენს.

ქეთევან სეხნიაშვილის განცხადებით, დაწესებულება ელოდებოდა საკითხის გადაწყვეტას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში. სკოლა ვარაუდობდა, რომ პრობლემა, მოგვარდებოდა დროულად, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო პროცესი გაიწელა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა ფორმით უნდა შეეძინა დაწესებულებას სკოლის შენობა და იყო თუ არა ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე შეთანხმება მიღწეული სამინისტროსთან.

ქეთევან სეხნიაშვილის განცხადებით ეს საკითხიც მოლაპარაკების საგანს წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შუამდგომლობა არ იყო დასაბუთებული, რადგანაც გარანტია, იმისა, რომ საკითხი დადებითად გადაწყდებოდა არ არსებობდა, მითუმეტეს ჯერ არ იყო დანიშნული აუქციონი და შეძლებდა თუ არა სკოლა შენობის შეძენას, ეს არცერთი დოკუმენტით არ დასტურდებოდა, ანუ სახეზე არ იყო ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებაც კი. თავმჯდომარემ, მიმართა მხარეს, თუ შეძლებდა ის წერილობითი დოკუმენტის წარმოდგენას, იმასთან დაკავშირებით, რომ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით აღნიშნული შენობა უნდა შეესყიდა შპს - ლამპარს, მაშინ საბჭო მხარს დაუჭერდა საკითხის განხილვის გადადებას.

დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ არსებობდა რაიმე იურიდიული საფუძველი იმისა, რომ საკითხის განხილვა გადადებულიყო ის მზად იყო მხარი დაეჭირა ამისთვის.

ლალი ღოღელიანი დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ მხარის შუამდგომლობა იყო დაუსაბუთებელი. აღნიშნული პრობლემა სკოლას უნდა მოეგვარებინა, მანამ სანამ ის საავტორიზაციო განაცხადს წარადგენდა ცენტრში.

თავმჯდომარემ საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა შპს - ლამპარის ავტორიზაციის განხილვის საკითხის გადადებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრა:

მომხრე: 1

წინააღმდეგი: 4

დღის წესრიგი დარჩა უცვლელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების” 22-ე მუხლის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარემ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მდივნის არყოფნის გამო, სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრა ანა კლდიაშვილს.

1. შპს - კანდიდის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ შპს - კანდიდის წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ შენიშვნები არ დაფიქსირებულა. აღსანიშნავია, შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს - კანდიდი საშუალო სკოლა მდებარეობს გლდანის ტერიტორიაზე, კვარტალი №02, ნაკვეთი №248. სკოლას აქვს ორსართულიანი საკუთარი შენობა, რომელსაც შემოსაზღვრული აქვს ეზო. შენობა ნაგებობის საერთო ფართა 891.51 კვ.მ. ნაკვეთის საერთო ფართი კი - 1504 კვ.მ.სკოლას გააჩნია 22 საკლასო ოთახი (მათ შორის ერთი საბუნებისმეტყველო საგნების კლას-ლაბორატორია), 2 ადმინისტრაციული ოთახი, მანდატურის ოთახი, 6 სველი წერტილი, სპორტული დარბაზი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია კაფეტერია.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მერხებითა და სკამებით, მასწავლებლის მაგიდებითა და დაფებით, საგანმანათლებლო რესურსებით - რუკებით, პლაკატებით, სურათებით და სხვა. სკოლას აქვს 400 ინდივიდუალური მერხი, 20 კომპიუტერი, 2 პრინტერისა და ქსეროქსის აპარატი.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესს წარმართავს 42 მასწავლებელი, გახანგრძლივებული ჯგუფების მუშაობას - 12 მასწავლებელი. სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა რაოდენობის 370-ით განსაზღვრის შესახებ.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა მომხსენებელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 370 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

შესაბამისად, ექსპერტთა დასკვნიდან გამომდინარე, დაწესებულება აკმაყოფილებს ყველა სტანდარტს და შესაძლებელია მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა გაეზარდოს 370 ერთეულამდე.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კანდიდის მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 370-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტის, 33[1] მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - კანდიდს მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 370-ით.

2. შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ კოლხა-11-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის 320-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა ექნება, მიიღოს 320 პროფესიული სტუდენტი. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ კოლხა-11-ის ავტორიზაციისა და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 320-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ კოლხა 11-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212892976) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული

საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 320-ით.

3. შპს - ოქროს აკვანის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. მომავალში იგეგმება ღია სპორტული მოედნის მოწყობა.

1.2 სკოლას შიდა პერიმეტრზე აქვს ექვსი სამეთვალყურეო ვიდეოთვალი, ხოლო გარე პერიმეტრზე ორი ვიდეოთვალი. დასკვნაში არ ფიქსირდება შეესაბამება თუ არა აღნიშნული ვიდეოთვალები „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 აქვს პედაგოგს დამთავრებული აქვს ს.ზაქარიაძის სახელობის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელი ქართული ქორეოგრაფიის სპეციალობით და ასწავლის აერობიკას, ხოლო მეორეს - სამუსიკო სასწავლებელი და ასწავლის მუსიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, მთავარია სკოლას აქვს სპორტული მოედანი, ხოლო ღია სპორტულ მოედანს მოაწყობს თუ არა დაწესებულება, ეს მის სურვილზეა დამოკიდებული.

კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ხელშეკრულება დადეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამის ვიდეომეთვალყურეობის სისტემების შეძენაზე.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, დაადასტურდა, რომ კამერების სპეციფიკაცია შესაბამისობაში იყო სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

საბჭოს წევრები დაინტერესდნენ, რამდენწლიანი სამუშაო გამოცდილება ჰქონდა აერობიკისა და მუსიკის მასწავლებლებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ დაახლოებით, 10-15 წლიანი სამუშაო გამოცდილება ჰქონდათ.

ექსპერტის, ნელი ნასყიდაშვილის, განმარტებით, პედგოგს აღნიშნულ სკოლაში მუშაობის დაწყებამდე, სხვა დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება აქვს, ხოლო უშუალოდ შპს - ოქროს აკვანში მუსიკის პედაგოგი 4 წელია ასწავლის.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას, ამჟამად, აქვს 12 კომპიუტერი, რაც საკმარისი არ იყო აღნიშნულ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სკოლის დირექტორმა წარმოადგინდა დოკუმენტაცია, დამატებით 4 კომპიუტერის შეძენის შესახებ.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა ფლობდა 16 კომპიუტერს.

ცენტრის წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას, მხოლოდ 310 მერხი გააჩნია, ამდენად, დაწესებულებას შეუძლია 310 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ოქროს აკვანის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ოქროს აკვანის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 310-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ოქროს აკვანს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206178027) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 310-ით.

4. შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტი, ხოლო ლაბორატორია - არასრულია. შპს - „ელტეკთან“ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე გადარიცხულია სრული თანხის 40% ანუ 4000 ლარი და იგეგმება ახალი ლაბორატორიის შემოტანა.

1.2 დირექციასთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება მანდატურის სამსახურთთან, თუმცა ხელშეკრულების ფორმა ტექნიკური მიზეზების გამო ვერ წარმოადგინეს.

1.3 სკოლას შიდა პერიმეტრზე აქვს ერთი ვიდეოთვალი. გარე პერიმეტრზე სკოლას არა აქვს ვიდეოთვალი, მაგრამ დადებული აქვს ხელშეკრულება შპს - „აი–ეს–ეი სერვისთან“ და გადახდილი აქვს თანხის 50%.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ სკოლა ფლობდა ლაბორატორიას, რომელიც იყო არასრული, ამავდროულად, დაწესებულებამ შეიძინა ახალი ლაბორატორია.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წარუდგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება.

სკოლის დირექტორმა, აგრეთვე, წარმოადგინა კამერის შეძენის შესახებ დოკუმენტაცია.

ექსპერტისა და საბჭოს წევრების მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტაცია და ხარვეზი გამოსწორებულად ჩაითვალა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის

გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 220-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მერხების ოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 200 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლურ საშუალო სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 206231184) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.

5. შპს - საბას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1.1 სკოლამ წარმოადგიან 2011–2012 სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო პედსაბჭოს მიერ (ოქმი N 1 – 02. 09. 2011). დირექტორის მიერ სასკოლო სასწავლო გეგემის დამტკიცების ბრძანება ვერ იქნა წარმოდგენილი.

1.2 სპორტის საგნობრივ თემატურ გეგმებში გაწრილი იყო სკოლის რესურსებთან შეუსაბამო სასწავლო მიზნები. კერძოდ, მე–5 და მე–7 კლასების მძლეოსნობის პროგრამაში გაწერილია – რბენა 1000 მეტრზე ან კროსი 2,5 კილომეტრზე. ასევე მე–3 კლასის სპორტის პროგრამაში გაწერილია ისეთი აქტივობები და სასწავლო მიზნები როგორიცაა აკრობატიკული ვარჯიშები და ბაგირზე ცოცვა. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი ან მოედანი, სადაც შესაძლებელია ამ აქტივობების განხორციელება და საწავლო მიზნების მიღწევა.

1.3 დაწესებულებას არ წარმოუდგენია მე-4 კლასში „სამოქალაქო თავდაცვის და უსაფრთხოების“ გაწერილი თემატური პროგრამა. წარმოდგენილი იქნა მხოლოდ საგნის სტანდარტი.

1.4 სკოლამ ვერ წარმოადგინა პირველი კლასის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) პროგრამა.

1.5 სკოლის ყველა საგნობრივი პროგრამა გაწერილი იყო მხოლოდ ერთი სემესტრის ფარგლებში.

1.6 ვიზიტის დროს სკოლაში იყო 12 საკლასო ოთახი, მაშინ როდესაც სკოლას დაფიქსირებული ჰყავდა 15 კლასი. მე-11 და მე-10, მე-9 და მე-8 კლასები, მე-7 და მე-6 კლასები საკლასო ოთახებში განთავსებული იყვნენ ერთად. კლასების ასეთი განთავსება ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ხარისხიანი სწავლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

1.7 დაწყებითი კლასის კათედრის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო სამ საფეხურიანი შეფასება: წარჩინებით ჩაეთვალა, ჩაეთვალა, პირობითად ჩაეთვალა. გაწერილია თითოეული საფეხურის კრიტერიუმები. ამ ტიპის შეფასება წარმოადგენს ფაქტიურად უნიშნოს, მაგრამ სამდონიან შეფასებას, რაც არ ეთანხმება ეროვნული სასწავლო გეგემის პრინციპებს.

2. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

2.1 პირველ შენობაში არის რვა საკლასო ოთახი, მეორე შენობაში - ოთხი. ორ საკლასო ოთახში შესვლა შესაძლებელია სხვა საკლასო ოთახის გავლით.

2.2 სკოლას ჩუქებით, ფ/პ ასმათ ჩუხუასგან (პ/ნ 62001030287) მიღებული აქვს ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიის მცირე ნაწილი, რომელიც არ აკმაყოფილებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებულ რეკომენდაციებს.

2.3 სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია პირველი შენობის, მეორე სართულის დერეფანში, სადაც საბიბლიოთეკო აღჭურვილობას წარმოადგენს ერთი წიგნების კარადა, ერთი ორადგილიანი მერხი და ერთი სკამი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 343 ერთეულს, მათ შორის არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სახელმძღვანელოების ნაწილი. ბიბლიოთეკაში არ დაფიქსირდა შემდეგი სახელმძღვანელოები: პირველი კლასის ინგლისურის, მუსიკისა და ბუნების; მე-2 კლასის ინგლისურისა და მუსიკის; მე-3 კლასის ინგლისურისა და ხატვის; მე-4 კლასის ინგლისურის, ხელოვნებისა და მუსიკის; მე-5 კლასის ხატვის, მუსიკის, ინგლისურისა და ისტ-ის; მე-6 კლასის ქართულის, ინგლისურის, ხატვის, მუსიკისა და ისტ-ის; მე-7 კლასის ინგლისურის, რუსულის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის, ხელოვნებისა და მუსიკის; მე-8 კლასის რუსულის, ისტორიის, ხელოვნებისა და მუსიკის; მე-9 კლასის მათემატიკის, რუსულის, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლების, ხელოვნებისა და მუსიკის; მე-10 კლასის მათემატიკის, ინგლისურის, რუსულის, გეოგრაფიისა და ფიზიკის; მე-11 კლასის ინგლისურის, რუსულისა და მსოფლიო კულტურის; მე-12 კლასის არცერთი სახელმძღვანელო ვერ იქნა წარმოდგენილი.

2.4 სკოლის მიერ დაკავებული ფართის პირველი სართულები ორივე შენობაში მიწის პირასაა, ამდენად პანდუსების მოწყობას არ საჭიროებს. დირექტორის განმარტებით სსსმ მოსწავლე, ამჟამად სკოლას არ ჰყავს და თუ ეყოლება მიიღებს და იმუშავებს პირველ სართულზე. მეორე სართულზე ასასვლელი პანდუსები არ არის დამონტაჟებული.

2.5 სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისა და სკოლის მართვისათვის სკოლას აქვს 9 კომპიუტერი, მათგან 7 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში, 2 კომპიუტერი განკუთვნილია ადმინისტრაციული მართვისთვის. ინტერნეტი სკოლას აქვს მაგთიფიქსის ორი მობილური მოდემის საშუალებით, შესაბამისად, ერთდროულად ინტერნეტთან წვდომის საშუალება აქვს მხოლოდ ორ კომპიუტერს.

2.6 დაწესებულების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ვებგვერდის ჰოსტინგისა და დომეინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.7 წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისა მიზნით სკოლას აყვანილი ჰყავს ორი დარაჯი. გარდა ამისა სართულების მიხედვით მორიგეობენ მასწავლებლები, გამოკრულია მათი მორიგეობის გრაფიკი. სკოლას მანდატური არ ჰყავს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სკოლის წესდების მიხედვით ვის უნდა დაემტკიცებინა 2011–2012 სასკოლო სასწავლო გეგმა. დაწესებულების დირექტორმა ვალერიანე ბეჭვაიამ განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დასრულების შემდგომ მოხდა შპს - საბას დირექტორის მიერ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2012 წლის 16 იანვარს გამოცემული შესაბამისი ბრძანება.

1.2 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შპს - საბას მოსწავლეები სარგებლობდნენ მე-12 საშუალო საჯარო სკოლის სპორტული მოედნით. კახი ყურაშვილი დაინტერესდა, უზრუნველყოფდა თუ არა სკოლა მე–5 და მე–7 კლასების მოსწავლეებისთვის რბენას 1000 მეტრზე, ან კროსს 2,5 კილომეტრზე. ასევე მე–3 კლასის მოსწავლეებისთვის აკრობატული ვარჯიშების ჩატარებასა და ბაგირზე ცოცვას. ვალერიანე ბეჭვაიამ აღნიშნა, რომ სკოლის რესურსი აღნიშნული აქტივობების ჩატარებას ვერ უზრუნველყოფდა. დაწესებულების დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს დამატებით განუმარტა, რომ სპორტის საგნობრივ თემატურ გეგმებში მოცემული აქტივობების შეტანის გამო, სპორტის გაკვეთილის მასწავლებელს გამოეცხადა საყვედური.

1.3 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უფლება აქვს შესაბამისი საგნის სწავლება განახორციელოს სტანდარტის მიხედვით. შესაბამისად, მისი აზრით, აღნიშნული არ წარმოადგენდა არსებითი ხასიათის ხარვეზსს, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველი კლასის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პროგრამა. ვალერიანე ბეჭვაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა აღნიშნული საგნის თემატური გეგმა. ავტორიზაციის საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის განმარტებით, ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, პირველ კლასში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები უნდა ისწავლებოდეს მე-2 სემესტრიდან. შესაბამისად, სკოლას ჰქონდა შესაძლებლობა ხარვეზი აღმოეფხვრა.

1.5 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სკოლის წარმოდგენილი ყველა პროგრამა შედგენილი იყო პირველი სემესტრის ფარგლებში. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ სკოლას ყველა საგნობრივი პროგრამა გაწერილი უნდა ჰქონოდა მთელი წლის განმავლობაში. ის ფაქტი, რომ შპს - საბას ყველა საგნობრივი პროგრამა შემუშავებული ჰქონდა მხოლოდ ერთი სემესტრის ფარგლებში, მისი აზრით, იყო არსებითი ხასიათის შენიშვნა. დავით კახნიაშვილმა დამატებით განმარტა, რომ სკოლას მთლიანი სასწავლო წლის ფარგლებში სულ მცირე უნდა ჰქონოდა ყველა საგნის პროგრამის მონახაზი ან

ჩარჩო. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექპერტთა ვიზიტის შემდგომ ყველა პროგრამა გაწერილი იყო ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულის დასადასტურებლად მან ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა შესაბამისი საგნობრივი პროგრამები. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ ავტორიზაციის საბჭოს შეუძლია შეისწავლოს არაარსებითი ხარვეზების გამოსწორების საკითხი და გამოსწორებულად ჩათვალოს მხოლოდ ისეთი არაარსებითი ხარვეზები, რომელთა გამოსწორების დადასტურებაც ამავე საბჭოს სხდომაზე დამაჯერებლად და მარტივად, საექსპერტო ვიზიტის განხორციელების გარეშე, დოკუმენტური შემოწმებითაც შეუძლია ავტორიზაციის ექსპერტსა და თავად საბჭოს შემადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კი საჭირო იყო ყველა საგნობრივი პროგრამის არსებითი გადამოწმება, რისი არც უფლებამოსილება და არც შესაძლებლობა საბჭოს სხდომის ფორმატში არა აქვს. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრმა.

1.6 შენიშვნაზე ავტორიზაციის ექპერტმა ნოდარ ანგურიძემ აღნიშნა, რომ მე-11 და მე-10, მე-9 და მე-8, მე-7 და მე-6 კლასებს გაკვეთილები უტარდებოდათ ერთ კლასში. ვალერიანე ბეჭვაიამ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ უცხო ენებისა და სპორტის გაკვეთილები აღნიშნული კლასის მოსწავლეებს უტარდებოდათ ერთად. სკოლის დირექტორმა დამატებით განმარტა, შპს - საბამ დაიქირავა დამატებითი ფართი, რომელიც მისცემდა სკოლას იმის შესაძლებლობას, რომ კლასებს ერთ საკლასო ოთახში აღარ ჩატარებოდათ გაკვეთილები. ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოუდგენელი იყო, თუ როგორ უნდა ჩატარებოდათ გაკვეთილები მაგალითად ქართულ ენასა ან მათემატიკაში სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს ერთ საკლასო ოთახში. ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ შპს - საბა ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა ფართს ორ მისამართზე. კახი ყურაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა საკლასო ოთახების რაოდენობა საკმარისი, რათა ყველა კლასს ჰქონოდა საკუთარი ოთახი. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ დაადასტურა, რომ სკოლას ჰქონდა საკმარისი რაოდენობის საკლასო ოთახი.

1.7 შენიშვნასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ დაუშვებელია დაწყებითი კლასის მოსწავლეები ფასდებოდნენ ჩათვლით. მათ შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ სიტყვიერი კომენტარებით. ვალერიანე ბეჭვაიამ აღნიშნა, რომ აღნიშნული ხარვეზი იყო გამოსწორებული და წარმოადგინა დაწყებითი კლასების შეფასების სისტემა. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმების შედეგად დაადასტურა, რომ აღნიშნული შენიშვნა გამოსწორებული იყო.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორიასთან დაკავშირებით ვალერიანე ბეჭვაიამ აღნიშნა, რომ სრულად იზიარებდა ავტორიზაციის ექპერტთა შენიშვნას. კახი ყურაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ჰქონდა თუ არა სკოლას სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს №572 ბრძანებით დამტკიცებული რეკომენდაციის შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობა. სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლას აღნიშნული რეკომენდაციის შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ ჰქონდა და უახლოეს მომავალში შეიძენდა.

გრიფირებულ სასკოლოს სახელმძღვანელოებთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექპერტთა ვიზიტის შემდგომ ყველა სახელმძღვანელო ჰქონდა ნაყიდი. აღნიშნულის დასადასტურებლად დაწესებულების წარმომადგენელმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა სახელმძღვანელოების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ადგილზე გადამოწმებით დაადგინა, რომ შპს - საბას ყველა სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელო ჰქონდა ნაყიდი.

2.5 შენიშვნასთან დაკავშირებით ავტორიზაციის საბჭოს წევრმა დავით კახნიაშვილმა განმარტა, რომ არსებით ხარვეზს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ინტერნეტი სკოლაში ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ორ კომპიუტერზე. ვალერიანე ბეჭვაიამ აღნიშნა, რომ ამჟამად ინტერნეტი ხელმისაწვდომი იყო ყველა კომპიუტერზე.

სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2011 წლის 6 დეკემბერს შპს -,,კავკასუს ონლაინთან" დადებული ხელშეკრულება დომეინური სახელის შესყიდვის თაობაზე. ადგილზე გადამოწმების შედეგად ვერ დადგინდა, რამდენად ასრულებდა შპს - საბას ვებგვერდი საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. ავტორიზაციის ექსპერტმა ნოდარ ანგურიძემ ავტორიზაციის წევრებს მოახსენა, რომ ექპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ვებგვერდი ასრლებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციებს.

2.7 შენიშვნასთან დაკავშირებით სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან შპს - საბას 2012 წლის 18 იანვარს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრის დავით კახნიაშვილის მოსაზრებით, არსებითი ხასიათის შენიშვნებს წარმოადგენდა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული 1.2, 1.5, 1.6, 2.2 და 2.5 შენიშვნები.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისი აზრით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. ავტორიზაციის საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - საბას ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება: „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - საბას (საიდენტიფიკაციო კოდი: 220012288) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

6. შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი მდებარეობს ნავთლუღის ქუჩა N8–ში. დაწესებულების საკუთრებაშია შენობა–ნაგებობები და მათზე დამაგრებული 18 352 კვ.მ მიწის ნაკვეთი. სკოლამ თვითშეფასების კითხვარში დაწესებულების საერთო ფართად წარმოადგინა 2977კვ.მ და 350 კვ.მ ფართი. ექსპერტების მიერ წარმოდგენილი სკოლის გეგმის მიხედვით მოხდა ფართობის გადამოწმება და აღმოჩნდა ერთი შენობის ფართია 2950 კვ.მ. ხოლო მეორე შენობის გეგმა, რომლის ფართადაც სკოლა აფიქსირებდა 350 კვ.მ-ს, სკოლამ ვერ წარმოადგინა. სკოლის ქონებას ადევს ყადაღა.

1.2 სკოლის შესასვლელებზე დამონტაჟებული ვიდეოკამერების სპეციფიკაციების ამსახველი დოკუმენტაცი სკოლამ ვერ წარმოადგინა.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, სკოლის ქონებაზე ყადაღის არსებობის ფაქტი არ ცვლის ქონების მართლზომიერ მესაკუთრეს. თუ კი შემდგომში მოხდება აღნიშნული ქონების გასხვისება, ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, გადაამოწმებს შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის პირობების შესაბამისობას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-2 თავით დადგენილ მოთხოვნებთან.

უსაფრთხოების კამერებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლაში დამონტაჟებული იყო 19 ვიდეო კამერა. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ დაწესებულებაში დამატებით დამონტაჟდა

2 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, რომელიც შეესაბამებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. აღნიშნულის დასადასტურებლად სკოლის დირექტორმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს წარუდგინა 2012 წლის 11 იანვარს შპს - ,,ჯესკო ჯგუფთან“ დადებული ხელშეკრულება.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 400-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ნანა ჭიღლაძეს, დაეფიქსირებინა პოზიცია დაწესებულების მიერ მოთხოვნილ რაოდენობასთან დაკავშირებით. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 400 მოსწავლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტს მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400-ით.

7. შპს - სკოლა-ნიკეს ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ბეგიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში შენიშვნები არ იყო დაფიქსირებული.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 250-ით განსაზღვრა.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 233 ერთეული მერხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მას გააჩნდა ხელშეკრულება დამატებით 25 ერთეული მერხისა და სკამის შესყიდვის შესახებ და გადახდის ქვითრები. აქვე, წარმომადგენელმა დამატებით განაცხადა, რომ ამ ეტაპზე გადახდილია თანხის ნახევარი, ხოლო მერხების მიწოდება მოხდება სექტემბრის თვეში.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე, პეტრე წურწუმია, დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 250 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა-ნიკეს ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - სკოლა-ნიკეს (საიდენტიფიკაციო კოდი: 245563000) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250-ით.

8. შპს - კვანტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით:

1.1 ვიზიტის დროს სკოლა ემზადებოდა ახალ შენობაში გადასასვლელად (ნასყიდობის ხელშეკრულება 3 ნოემბერი 2011 წელი), ამიტომ სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით საკლასო ოთახები ვიზიტის მომენტისათვის არ იყო აღჭურვილი.

1.2 ვიზიტის დროს დაწესებულებაში იყო 185 ინდივიდუალური მერხი და სკამი. სკოლამ წარმოადგინა ხელშეკრულება და გადახდის ქვითარი (10 500 ლარიდან გადახდილია 6 205 ლარი) 300 მერხზე.

1.3 სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულებები, აქვთ პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. მანდატურები სკოლას არ ჰყავს. სკოლას აქვს 4 ვიდეო კამერა, 1 გარე პერიმეტრისა და 3 შიდა პერიმეტრისათვის. სკოლა გეგმავს დამატებითი კამერების დაყენებას, რადგან არსებული კამერები რაოდენობრივად ვერ აკმაყოფილებს ახალ შენობას. ექსპერტთა დასკვნაში არ არის მოცმეული ინფორმაცია თუ რამდენად შეესაბამება სკოლაში დამონტაჟებული ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

სხდომის თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლამ გააფორმა საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოდგენილ იქნა საბჭოზე. დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა დამატებით კამერების შეძენისა და დამონტაჟების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე წარმოდგენილ იქნა დამატებით 115 მერხის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტმა ნელი ნასყიდაშვილმა დაადასტურა, რომ სკოლის კამერები აკმაყოფილებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით

განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. ნელი ნასყიდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლას უდასტურდებოდა 300 მერხის ფლობა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 300-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა 300 მოსწავლის მიღებას. ცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე, პეტრე წურწუმია, დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 3000 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - კვანტის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - კვანტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 212672384) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300-ით.

9. შპს - ელიტ სქულის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებაზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 სკოლის ვებ-გვერდია http://www.elitschool.ge/, რომელიც მზადების პროცესშია და მასზე არსებული ინფორმაცია არასრულია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ვებ-საიტის დამზადება სკოლას ხელშეკრულებით დავალებული აქვს შპს „გლობალ ტექნოლოჯი გრუპისთვის“, სადაც სამუშაოს შესრულების ვადათ მითითებულია 90 სამუშაო დღე ხელშეკრულების ხელმოწერიდან, ხელშეკრულება კი დადებულია 2011 წლის 9 ნოემბერს.

1.2 დაწესებულებას არ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურთან.

1.3 შიდა კამერების დამონტაჟება მიმდინარეობს ექსპერტთა ვიზიტის დროს, წარმოდგენილია შესაბამისი ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, სკოლას ვებ-გვერდი აქვს და ხელშეკრულებით გათვალისწინებული 90-დღიანი ვადა არ არის ამოწურული, ამდენად, მან, აღნიშნული ხარვეზი მოხსნა.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც ცენტრში იქნა წარმოდგენილი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, შიდა კამერები სკოლაში უკვე დამონტაჟებული იყოს, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარმოდგენილ იქნა საბჭოს სხდომაზე.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოდგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით,

მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 140-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 140 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს - ელიტ სქულის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ ავტორიზაციის სტანდარტი დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ელიტ სქულის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 140-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ელიტ სქულს (საიდენტიფიკაციო კოდი: 247009053) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 140-ით.

10. შპს - №1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლაშა მარგიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან მიმართებით;

1.1 ექსპერტთა დასკვნაში არ არის მოცემული ინფორმაცია თუ რამდენად შეესაბამება სკოლაში დამონტაჟებული ვიდეო მეთვალყურეობის სისტემა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს.

ექსპერტმა, ნელი ნასყიდაშვილმა, საბჭოს განუმარტა, რომ ზემოაღნიშნული არ წარმოადგენდა შენიშვნას და კამერების ტექნიკური მონაცემები შესაბამისობაში იყო სტანდარტით განსაზღვრულ ტექნიკურ პარამეტრებთან. ექსპერტმა დამატებით აღნიშნა, რომ 50 ინდივიდუალური მერხი სკოლას უკვე მიღებული აქვს, თუმცა თანხა ჯერ არ არის გადახდილი.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა ავტორიზაციის მიღების შემთხვევაში, მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამების თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოითხოვა მოსწავლეთა ადგილების რაოდენობის 350-ით განსაზღვრა.

თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ დაწესებულება, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლის მიღებას. ცენტრის წარმომადგენელი დაეთანხმა დაწესებულების პოზიციას და აღნიშნა, რომ დაწესებულებას შეეძლო 350 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - №1 სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 350-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს - №1 სკოლას (საიდენტიფიკაციო კოდი: 212690729) 5 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 350-ით.

11. შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 შპს „ლამპარის“ კერძო სკოლა ფუნქციონირებს ქ. თბილისში, კალოუბნის ქ. №10 სამსართულიანი შენობის მეორე და მესამე სართულზე. შენობის მესაკუთრეა შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო". იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული არ არის, თუმცა სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტები საიდანაც ირკვევა, რომ სკოლის დირექტორი, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, 2011 წლის 2 სექტემბერს მიმართავს ეკონომოკის სამინისტროს, შენობის იჯარით გადაცემის შესახებ, პასუხად, 2011 წლის 7 სექტემბერს, ელექტრონული ფოსტით, მიღებულია ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი და მითითება, რომ გადარიცხვა განხორციელდეს შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიუროს" სახელზე. ამის შემდეგ, აღნიშნულ ანგარიშზე, სკოლამ გადაიხადა 4000 ლარი 07.09.2011 წელს და 4000 ლარი 20.10.2011წელს. მიუხედავად ამისა დღემდე ვერ მოხერხდა ხელშეკრულების გაფორმება.

1.2 ორადგილიანი მერხების და სკამების უმეტესობა საჭიროებს რემონტს (სკოლამ წარმოადგინა მასალა, რითაც აპირებენ მოსწავლის სკამების და მერხების გარემონტებას).

1.3 სკოლა, რაიონის გამგებელთან ზეპირი შეთანხმებით, სარგებლობს შენობის მოპირდაპირე ტერიტორიაზე განთავსებული, მერიის საკუთრებაში არსებული, სპორტულ მოედანით, თუმცა შპს - „ლამპარი" სპოტული დარბაზად იყენებს ოთახს, რომლის ფართი შეადგენს 85 კვ.მ–ს

1.4 სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიები, რომლებიც კერძო პირებმა უსაჩუქრეს. ბიოლოგიაში 26 ერთეული, ფიზიკაში – 34, ქიმიაში –40, საერთო დანიშნულების – 76. სულ 176 ერთეული (აქედან 82 ერთეული დასტურდება დოკუმენტაციით, დანარჩენი ვიზუალური დათვალიერებით). საერთო ჯამში ლაბორატრიების ჩამონათვალი შეადგენს

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების №2 დანართის ჩამონათვალის 85% – ს.

1.5 შენობას ამ ეტაპზე არ აქვს გაზმომარაგება, თუმცა დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. სკოლას აქვს 11 ელექტრო გამათბობელი.

1.6 ექსპერტების ვიზიტის პერიოდში სველი წერტილი ასეთი მოწაფებისთვის არ არის ადაპტირებული (დირექციასთან გასაუბრების შედეგად და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის თანახმად დაგეგმილია ტუალეტის რემონტი).

1.7 დირექტორის განმარტებით სკოლას აქვს 8 კომპიუტერი, თუმცა წარმოადგინეს 5 მათგანი რომლებიც განთავსებული იყო სამასწავლებლოში და კაბინეტებში, დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ 3 კომპიუტერი კომპიუტერულ კლასშია, მაგრამ ვიზიტის პერიოდში ვერ მოხერხდა მისი გახსნა და დადასტურება,

1.8 დამონტაჟებულია ოთხი სათვალთვალო კამერა, რომელიც სართულების მხოლოდ შიდა პერიმეტრს აკონტროლებს და ისიც არასრულად (მეორე სართულის მარჯვენა პერიმეტრი ვერ კონტროლდება). ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში მიმდინარეობდა გარე პერიმტრის კამერების მონტაჟი, რომელიც ვიზიტის პერიოდში არ დასრულებულა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომის ოქმში დაფიქსირებულია მსჯელობა თუ რატომ არ მოხდა საკითხის განხილვის გადადება. კახი ყურაშვილის თქმით, ავტორიზაციის სტანდარტი არ იყო დაკმაყოფილებული, რადგანაც დაწესებულებას არ უდასტურდებოდა ფართის ფლობა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ მეორედ შემოიტანა ავტორიზაციის განაცხადი და კვლავ ფართის ფლობასთან დაკავშირებული პრობლემები არსებობდა.

სკოლის დირექტორმა, თამარ მანძულაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლა ითხოვდა, საკითხის განხილვის გადადებას ავტორიზაციის წარმოებისათვის დაგდგენილი 90 დღის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ, განმარტა, რომ გადავადება ვერ მოხდებოდა, რაზეც საბჭოს სხდომის დასაწყისში, დღის წესრიგების დამტკიცებისას უკვე იყო მსჯელობა. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ უდასტურდებოდა მატერიალური რესურსის ფლობა, რაც წარმოადგენდა ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევას, საბჭო კი ვალდებეული იყო მიღო გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით, რასაც დაეთანხმნენ საბჭოს წევრები.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - ლამპარის ავტორიზაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს - ლამპარს (საიდენტიფიკაციო კოდი: 208148930) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

სხდომაზე გამოცხადდა შესვენება: 20:14
სხდომა განახლდა: 20:35

12. შპს - არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი საშუალო სკოლა „ქიაჩის" ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების კითხვარსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების კითხვარი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ნინო ფურცხვანიძემ, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით

1.1 ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის ეზოში მიმდინარეობდა მოედნის სარემონტო სამუშაოები. დამონტაჟებული იყო კალათბურთის ფარები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს - „წალენჯიხის სპორტკომპლექსთან" სპორტის გაკვეთილების ჩატარების თაობაზე.

1.2 შენობის შიგნით სამოძრაოდ, ექსპერტთა ვიზიტის დროს, დაიწყო მოძრავი პანდუსის დამზადება და ადაპტირებული სველი წერტილის მოწყობა სსსმ მოსწავლისათვის.

1.3 სკოლას არ ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ დაიწყო მოლაპარაკება მათთან.

1.4 სკოლაში არის სასწავლო პროცესის შესაბამისი პერიოდიკა, გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები პერიოდიკის მიწოდებაზე, თუმცა ეს უკანასკნელი განახლებას საჭიროებს.

2. ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით

2.1 ხელოვნების მასწავლებელს, მარინე კვარაცხელიას დამთავრებული აქვს მოსე თოიძის სახ. სამხატვრო საშ. პროფესიული სასწავლებელი (1977–1979) და მინიჭებული აქვს მღებავის (საალფრეინო ფერწერითი სამუშაოების IVთანრიგის კვალიფიკაცია (მასწავლებლად მუშაობის 30 წლის სტაჟი). ასევე ხელოვნების მასწავლებელს რიმა კვარაცხელიას (2003–2006) დამთავრებული აქვს მ.თოიძის სახ. სამხატვრო ლიცეუმი და მინიჭებული აქვს მეხალიჩე რესტავრატორის კვალიფიკაცია (მასწავლებლად მუშაობის 5 წლის სტაჟი).

ფიზიკის მასწავლებელს ასმათ გახარიას (ფიზიკის მასწავლებლად მუშაობის 9 წლის სტაჟი) დამთავრებული აქვს ქ. როსტოვის საინჟინრო–სამშენებლო ინსტიტუტი, სპეციალობით

მშენებლობის ეკონომიკა და მართვა და მინიჭებული აქვს ინჟინერ–ეკონომისტის კვალიფიკაცია (მაგისტრის ხარისხი).

ქიმიის მასწავლებელს ინგა რატიას (ქიმიის მასწავლებლად მუშაობის 16 წლის სტაჟი) დამთავრებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვების პროდუქტების საქონელმცოდნეობის კომერსანტის სპეციალობა და მინიჭებული აქვს საქონელმცოდნე კომერსანტის კვალიფიკაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ სპორტულ მოედანთან დაკავშირებული შენიშვნა მოხსნა, რადგანაც მიმდინარეობდა სპორტული მოედნის სარემონტო სამუშაობ, ხოლო ალტერნატივად დაწესებულებას ჰქონდა ხელშეკრულება გაფორმებული.

დაწესებულებამ წარმოადგინდა ფოტომასალა სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებულ გარემოს შექმნის შესახებ. ექსპერტისა და საბჭოს წევრების მიერ მოხდა მათი დათვალიერება და დადგინდა, რომ აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია.

დაწესებულების დირექტორმა წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა ხელოვნების მასწავლებლის სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობა.

სკოლის დირექტორის განმარტებით, ხელოვნების მასწავლებელს მასწავლებლად მუშაობის 30-წლიანი გამოცდილება ჰქონდა. ფიზიკის მასწავლებელთან დაკავშირებით, დაზუსტდა, რომ მას 9-წლიანი სამუშაო გამოცდილება ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების დირექტორს, იყო თუ არა სკოლაში ფიზიკის სხვა მასწავლებელი.

სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლას ფიზიკის სხვა მასწავლებელი არ ყავდა,

საბჭოს წევრების მსჯელობის შედეგად დადგინდა, რომ სამუშაო გამოცდილების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, აღნიშნული ხარვეზი უნდა მოხსნილიყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ყველა ხარვეზი იყო გამოსწორებული, მითუმეეტს, რომ ხარვეზები არ იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგენა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა მოითხოვა მოსწავლეთა რაოდენობის 220-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრის წარმომადგენელს, ადასტურებდა თუ არა იგი, რომ სკოლა, მისი რესურსების გათვალისწინებით, შეძლებდა ამ რაოდენობის მოსწავლეთა მიღებას. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ადამიანური რესურსის, საერთო ფართისა და კომპიუტერების რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას შეუძლია 220 მოსწავლისათვის შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა.

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

18.01.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრები:

კახი ყურაშვილი - შპს - თბილისის ჰუმანიტარული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ანა კლდიაშვილი - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხელოვნების ისტორიის, რესტავრაციისა და თეორიის ფაკულტეტის სრული პროფესორი;

რუსუდან ტყეშელაშვილი - საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;

დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

პეტრე წურწუმია - დირექტორის პირველი მოადგილე;

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

რევაზ ხოფერია - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ნინო ბეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

კონსტანტინე ჩოკორაია - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი.

ავტორიზაციის მაძიებელი დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. მარინე ქვრივიშვილი - შპს - კანდიდის დირექტორი;
2. თამარ ნიშნიანიძე - შპს - საზოგადოებრივი კოლეჯ ,,კოლხა-11-ის'' დირრექტორი;
3. მაია მიქაძე - შპს - ოქროს აკვანის - დირექტორი;
4. ზვიად არძენაძე- შპს - გრიგოლ ხანძთელის სახელობის მართლმადიდებლური საშუალო სკოლის იურისტი;